



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



06/02/2020

5-07-4-202002061630



N 5

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5

2020 წლის 6 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში (ვებგვერდი 26.12.2019, სარ. კოდი:190020020.35.112.016416) და დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-15, მე-16, მე-19 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის	2019 წლის	2020 წლის გეგმა
------------	--------------	--------------	-----------------

	ფაქტი	ფაქტი	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	16,796.4	19,523.7	14,629.2	10,142.7	4,486.5
გადასახადები	2,437.5	9,226.9	8,908.5	8,908.5	-
გრანტები	13,337.2	9,114.4	4,706.5	220.0	4,486.5
სხვა შემოსავლები	1,021.6	1,182.4	1,014.2	1,014.2	-
II. ხარჯები	10,769.8	10,498.7	11,153.6	10,361.7	791.9
შრომის ანაზღაურება	4,318.5	4,687.0	4,940.5	4,940.5	-
საქონელი და მომსახურება	3,413.9	4,503.3	4,807.3	4,257.6	549.7
პროცენტი	53.7	29.1	33.2	33.2	-
სუბსიდიები	405.0	398.5	421.8	421.8	-
სოციალური უზრუნველყოფა	555.8	586.0	528.7	528.7	-
სხვა ხარჯები	2,022.9	294.8	422.2	179.9	242.2
III. საოპერაციო სალდო	6,026.6	9,025.0	3,475.7	-219.0	3,694.6
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,615.2	9,268.1	4,784.4	552.8	4,231.6
ზრდა	7,803.6	9,307.7	5,054.1	822.5	4,231.6
კლება	188.4	39.6	269.7	269.7	-
V. მთლიანი სალდო	-1,588.6	-243.1	-1,308.7	-771.7	-537.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,588.6	-272.1	-1,366.8	-829.8	-537.0
ზრდა	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-
კლება	1,588.6	272.1	1,366.8	829.8	537.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,588.6	272.1	1,366.8	829.8	537.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-	-29.0	-58.1	-58.1	-
კლება	-	29.0	58.1	58.1	-
საშინაო	-	29.0	58.1	58.1	-
სესხები	-	29.0	58.1	58.1	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	-0.0	0.0	-0.0	-0.0	-0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
 ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი სულ	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	16,984.8	19,563.3	14,898.9	10,412.4	4,486.5
შემოსავლები	16,796.4	19,523.7	14,629.2	10,142.7	4,486.5
არაფინანსური აქტივების კლება	188.4	39.6	269.7	269.7	-
გადასახდელები	18,573.4	19,835.4	16,265.7	11,242.2	5,023.5
ხარჯები	10,769.8	10,498.7	11,153.6	10,361.7	791.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,803.6	9,307.7	5,054.1	822.5	4,231.6
ვალდებულებების კლება	-	29.0	58.1	58.1	-
ნაშთის ცვლილება	1,588.6	272.1	1,366.8	829.8	537.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 14629,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	16,796.4	19,523.7	14,629.2	10,142.7	4,486.5
გადასახადები	2,437.5	9,226.9	8,908.5	8,908.5	-
გრანტები	13,337.2	9,114.4	4,706.5	220.0	4,486.5
სხვა შემოსავლები	1,021.6	1,182.4	1,014.2	1,014.2	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 4706,5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
გრანტები	13,337.2	9,114.4	4,706.5
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	- 1.5		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13,338.7	9,114.4	4,706.5
გათანაბრებითი ტრანსფერი	6,238.6		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	220.0	220.0	220.0
კაპიტალური ტრანსფერი	4,515.1	5,581.0	3,941.1
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	2,365.0	3,313.4	545.5

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2,262.3	2,052.1	
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები		748.0	
სხვა სახის ტრანსფერები	102.7	513.3	545.5

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 11,153.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	10,769.8	10,498.7	11,153.6	10,361.7	791.9
შრომის ანაზღაურება	4,318.5	4,687.0	4,940.5	4,940.5	-
საქონელი და მომსახურება	3,413.9	4,503.3	4,807.3	4,257.6	549.7
პროცენტები	53.7	29.1	33.2	33.2	-
სუბსიდიები	405.0	398.5	421.8	421.8	-
სოციალური უზრუნველყოფა	555.8	586.0	528.7	528.7	-
სხვა ხარჯები	2,022.9	294.8	422.2	179.9	242.2

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 4,834.4 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 5054,1 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 219,7 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	26.6	59.4	13.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	26.6	59.4	13.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7,113.7	6,833.1	4,260.3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,193.2	3,335.4	2,935.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	416.2	840.9	576.4
02 03	გარე განათება	-	-	192.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	91.2	82.3	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	25.0	0.6	-
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	287.8	403.1	405.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,100.3	1,430.9	151.1

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა		740.0	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	177.4	2.8	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	19.0	2.8	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	158.4	-	-
04 00	განათლება	36.2	532.4	149.2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	6.0	62.2	9.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	30.1	470.2	140.2
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	372.1	1,709.9	631.6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	353.4	1,689.5	618.2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	18.7	20.4	13.4
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	77.7	170.0	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	77.7	170.0	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	7,803.6	9,307.7	5,054.1

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	188.4	39.6	269.7
ძირითადი აქტივები	156.2	1.0	50.0
არაწარმოებული აქტივები	32.2	38.6	219.7
მიწა	32.2	38.6	219.7

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა
ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,476.4	2,820.3	2,992.0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,476.4	2,791.2	2,958.8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,476.4	2,789.4	2,923.8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	1.8	35.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	29.1	33.2
7.2	თავდაცვა	122.3	127.8	133.4

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	122.3	127.8	133.4
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5,272.4	3,455.0	3,061.0
7.4 5	ტრანსპორტი	5,272.4	3,455.0	3,061.0
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,248.2	3,433.4	3,035.4
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	24.2	21.5	25.6
7.5	გარემოს დაცვა	780.8	1,026.5	1,072.5
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	780.8	1,026.5	1,072.5
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4,486.6	4,088.9	2,091.9
7.6 1	ბინათმშენებლობა	2,036.8	192.6	255.0
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	158.4	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	447.2	883.6	634.4
7.6 4	გარე განათება	318.1	319.8	529.5
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,526.2	2,692.9	673.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	198.8	307.5	147.0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	198.8	307.5	147.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,413.8	3,896.1	2,925.4
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,312.7	2,742.3	1,681.2
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,061.1	1,113.8	1,204.2
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	40.0	40.0
7.9	განათლება	2,231.8	3,453.0	3,207.8
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,220.4	2,457.0	2,500.0
7.9 2	ზოგადი განათლება	11.4	996.0	707.8
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	11.4	996.0	707.8
7 10	სოციალური დაცვა	590.3	631.4	576.8
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	106.3	90.0	90.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.6	1.5	1.5
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	45.3	40.0	49.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	30.0	36.0	37.2
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	408.2	463.9	399.1
	სულ	18,573.4	19,806.4	16,207.6

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 1308,7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 3475,7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	6,026.6	9,025.0	3,475.7
მთლიანი სალდო	- 1,588.6	- 243.1	- 1,308.7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1366,8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,588.6	- 272.1	- 1,366.8
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	1,588.6	272.1	1,366.8
ვალუტა და დეპოზიტი	1,588.6	272.1	1,366.8

ფინანსური აქტივების კლება 1366,8 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2020 წლის განმავლობაში.

თავი II. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5,142.8 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5,142.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,035.4
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	2,935.1
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	100.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	0.2

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
02 02	წყლის სისტემების განვითარება	634.4
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	576.4
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	58.0
02 03	გარე განათება	529.5
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	387.0
02 03 02	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	142.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	255.0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	110.0
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	255.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	101.9
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	5.0
02 06 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	96.9
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	25.6
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	410.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	151.1
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	-

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		2935,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ხიდების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 4 პროექტის განხორციელება: - ქ. ლანჩხუთში 10 ქუჩის სანიაღვრე არხების მოწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 5300 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 3500 ბენეფიციარი; - ქ. ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების და ბილიკების გარე განათების მოწყობა. ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1870 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 7000 ბენეფიციარი; - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.- 4700 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 3000 ბენეფიციარი; გარდა აღნიშნული პროექტებისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი სახსრებით, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		

მიღწეული შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად		
მიღწეული შედეგი	ქ. ლანჩხუთში ,ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2020 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		0,24
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 10 ცალი ზოგადი ხედვის კამერის ტექნიკური მომსახურება
მიღწეული შედეგი	ფარი ვიდეო კონტროლების შექმნა, დამონტაჟება განაპირობებს ტრანსპორტის და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		634,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს წყლის მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს წყლის მიწოდების გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		576,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის შესაძლებელია ასევე გამოიყოს თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. 2020-21 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: - ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, წყალსადენის რეაბილიტაცია - ბენეფიციარი 510 ოჯახი; - გვიშალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია. წყალსადენის რეაბილიტაცია - ბენეფიციარი 1030 ოჯახი; გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა წყალზე;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		58,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე სტუმრების უწყვეტ რეჟიმში წყლით მომარაგებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შეძენა.		
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის სტუმრების უზრუნველყოფა სასმელი წყლით; პერიოდულად წარმოქმნილი დაზიანებების დროული და ოპერატიული აღმოფხვრა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	---------------	---------------------------

	02 03		529,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტ განათებისა და ელექტროაყვანილობის ბოძს, 6500-ზე მეტ სანათ წერტილს, 20000 გრძელ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 200,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; - კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. 2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება, ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		387,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. ღღის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (200,0 ათასი ლარი).
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		142,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელ ი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები. 2020 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: - ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ მაგისტრალზე გარე განათების ქსელის მოწყობა - ბენეფიციარი 1700; გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების დაახლოებით 90%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		255,0
ქვეპროგრამის განმახორციელებე ლი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებობს მრავალბინიანი შენობები რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში არსებული დაზიანებული მრავალბინიანი სახლების სახურავების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია. ქ. ლანჩხუთში რეაბილიტირებული სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო ჯამში რეაბილიტირებული სახლებით ისარგებლებს 550 ბენეფიციარი.
მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთში რეაბილიტირებული სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო ჯამში რეაბილიტირებული სახლებით ისარგებლებს 550 ბენეფიციარი. მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ვადა გაიზრდება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 05		96,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისდელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის დელის სასაფლაო. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 10800 კვ/მეტრს. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული განაშენებულიანი სკვერების დაცვის ღონისძიებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს: - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება, შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცელოვით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას. განყოფილება ასევე ახდენს განაშენებულიანი სკვერების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა (მეველეები და სასაფლაოს ზედამხედველები) ხელფასებიც.		
მოსალოდნელი შედეგი	წლის მანძილზე შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოს ტერიტორიები. ასევე, 24 საათიან რეჟიმში განხორციელდება ქალაქის სკვერების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		25,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლების დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება. სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 4 საშტატო ერთეულს (ხელფასი, მიმდინარე ხარჯი), რომელთა მოვალეობაშიც შედის ზემოთმოყვანილი საკითხების ზედამხედველობა.
მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთსა და სოფლების დამაკავშირებელი ტრანსპორტი მთელი წლის განმავლობაში გადაადგილდება შეუფერხებლად

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		410
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		151,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის აუცილებლობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია და ახალი ნაპირსამაგრების მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგების		

	სალიკვიდაციო ღონისძიებების მოწყობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ ნიგოთის, შუხუთის, აცანის, ქ. ლანჩხუთის, მაჩხვარეთის, ჩიბათის, ლესის, ნიგვზიანის, სუფსის, ღრმადელის, ნინოშვილის, ჯურუყვეთის და ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულებში. ადმინისტრაციულ ერთეულებში გაბიონების და ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	ნიგოთის, შუხუთის, აცანის, ქალაქის, მაჩხვარეთის, ჩიბათის, ლესის, ნიგვზიანის, სუფსის, ღრმადელის, ნინოშვილის, ჯურუყვეთის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწყობილი ნაპირსამაგრები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. სამუშაოები დაიწყო 2019წელს და დასრულდება 2020წელს. 2020 წელს ნაპირსამაგრით ისარგებლებს 420 მოსახლე.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,207.8 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში		
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	3,207.8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,500.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-
04 03	განათლების ღონისძიებები	18.0
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია , მშენებლობა	140.2
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	549.7

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2 500,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც		

	სააღმზრდელო პროცესს გადის 1250-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 100 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1250-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		18,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით,ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და		

	საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		140,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის საჯარო სკოლები სადაც მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგება შემდეგ ლოკაციებზე: სოფ ნინოშვილის საჯარო სკოლა, სოფ ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნინოშვილის საჯარო სკოლა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნინოშვილის საჯარო სკოლა და სოფ. ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსის სველი წერტილები იქნება კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და კომფორტული. 2019 წელს რეაბილიტირებული სველი წერტილებით ისარგებლებს 110 მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. აქედან, ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი 32 და სოფ. ნინოშვილის 78 მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	04 05		549,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (დელეგირებული უფლებამოსილებით)		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა.პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება 3400 მოსწავლის დახმარება		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,925.4 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,925.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,681.2
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,043.0
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	513.0
05 01 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	160.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	130.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	240.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	20.0
05 01 03	კაპიტალური დაზანდებები სპორტის სფეროში	618.2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,234.2
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,180.2
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	860.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	320.2
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	14.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	10.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		513.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
